№ 244 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. ხუთშაბათი, ოქტომბრის 28 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

სახელმწ. თეატრი.

28 ოქტომბერს **მეფის საცოლე.**

29 ოქტომბერს

**ევგენი ონეგინი.**

30 ოქტ. ოპერა მუშებისთვის **ბალეტის საღამო.** მიხ მორდკინი ა.

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

**წარმოდგენის დროს შესვლა დარბაზში აკრძალულია.**

942 1—1 ოპერის დირექტორი ს. ი. ევლახი ილი.

## საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის

### არა ჩვეულებრივი კრება

დანიშნულია კვირას, 14 ნოემბერს დილის 11 საათზე.

პალატის ბინაზე (ეროვნულ საბჭოს ქუჩა № 11).

### განსახილველი საგნები:

1. ტფილისის კომერციულ სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს წევრთა არჩევა.
2. ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თხოვნა.
3. პალატის განყოფილების დაარსება ბათომში და ინსტრუქციის განხილვა.
4. დამატებითი ხარჯთ აღრიცხვა ბათომის განყოფილებისა და სხვა საჭიროებისათვის.

თუ წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო კრება არ შესდგა, სამაგიეროდ დანიშნულია მეორე დღეს, საღამოს $6^1/_2$ საათზე. ეს კრება შესდგება მიუხედავად დამსწრე წევრთა რიცხვის რაოდენობისა

961 3—3

## ტფილისის მაზრის ერობის გამგეობა

### იწვევს

სამსახურში გამოცდილ პირთ გამგეობის მდივნის, ბუხჰალტრის და ბუხჰალტრის თანაშემწის თანამდებობებზე.

ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა; პირობების შესახებ მიჰმართონ გამგეობას (რუსთავ. პრ. № 6).

3383 2—2

## კვირას, ამა წლის 31 ოქტომბერს დანიშნულია რადიო-ტელეგრაფის ბუნდში, კომისიის მიერ უვარგისად ცნობილ ცხენების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა.

ქალაქი ტფილისი, სამხედრო ქუჩა № 4.

964 1—1

## სახელმწიფო კანტორა

### ამით აცხადებს,

რომ ამა წლის 8 ნოემბრის დღის 12 საათზე, ყოფილ ტფილისის საკონტროლო პალატის შენობაში, რომელიც იმყოფება დიდი მთავრის ქუჩაზე № 28

**შესდგება სიტყვიერი ვაჭრობა 1.500 ფუთ არა საჭირო ქაღალდების გასაყიდათ რისთვისაც დაშვებულია დახურულ განცხადების შემოტანაც.**

იმათ ვისაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში ვალდებული არიან წარმოადგინონ დანიშნულ დროისთვის და საათისვის, როგორც თავისი განცხადება, ვაჭრობაში მონაწილეობის სურვილსა აგრეთვე დახურული განცხადებანიც, სადაც უნდა იყოს აღნიშნული ფასი ფუთზე, რამდენადაც სურთ შეიძინონ მატერიალი, ბინადრობის ადგილი, სახელი და გვარი თანდართული თანხით 50.000 მან. ვაჭრობის პირობების გაგება შესაძლებელია იქვე ყოველ დღიურათ დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

3412 1—1

## საჭიროა სამხედრო საქმეებში გამოცდილი საქმის მწარმოებელი

### სამეურნეო ნაწილისათვის.

თვიური ჯამაგირი 4335 მან. და მშრალი ულუფა.

965 1—1

**ოფიციალური განყოფილება.**

## ორ წლიანი სასოფლო-სამეურნეო კურსების შტატი.

| №№ რიგზე. | თანამდებობა | მოსამსახურეთა რაოდენობა. | ჯამაგირი. ერთს თვეში. | ჯამაგირი. ყველას წელიწადში. |
|---|---|---|---|---|
| 1 | სკოლის გამგე, იგივე სპეციალი საგნების მასწავლებელი. | 1 | 3500 | 42000*) |
| 2 | სპეციალი საგნების მასწავლ. | 1 | 3000 | 36000 |
| 3 | საზოგადო საგნებისა და ბუნებ. მეტყვ. მასწავლებელი | 1 | 3000 | 36000 |
| 4 | სკოლის დარაჯი | 1 | 1300 | 15600 |
| 5 | მუდმივი მუშა | 2 | 1300 | 31200 |
| 6 | ხელოსანი | 2 | 2000 | 48000 |
| 7 | სასწავლო სახელმძღვანელოები და სახელმძღვ. მასალები. | — | — | 15000 |
| 8 | განათ. გათბობა და ბინის ქირა | — | — | 30000 |
| 9 | მასწავლებელს ზაფხულობით მოწაფეების მამულების დასათვალიერებლად | — | — | 20000 |
| 10 | სასოფლო მეურნეობის წარმოება (5 დესეტინაზე | — | — | 25000 |
| | სულ | — | — | 298800 |

1. მასწავლებელი ვალდებულია ზაფხულობით დაათვალიეროს მოწაფეთა მამულები და დარიგება მისცეს მუშაობის წესიერად წარმოებისათვის. მასწავლებელს უნდა მიეცეს გზის ფული და აგრეთვე დღიური, ხარჯი, საზოგადოდ მიღებული წესით.

2. მოსამსახურეთ ეძლევათ ბინა ან მისი ღირებულება (ჯამაგირის მეათედი).

3. გარდა ზემოაღნიშნული თანხისა, სასწავლებლისათვის უნდა გადაიდოს ხაზინიდან ხუთწლეულები, თანახმად განათლების სამინისტროსაგან მიღებული წესისა.

4. იმ მოსამსახურეთა შვილები, რომელთაც უმსახურიათ არა ნაკლებ 10 წლისა, განთავისუფლებულ უნდა იქნენ სწავლის ფულის გადახდისაგან სპეციალი და საზოგადო განათლების სკოლებში.

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი,**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ნ. რამიშვილი.**

## ორ წლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლის სამოსწავლო გეგმა.

| საგნების დასახელება | საათების რიცხვი კვირ. კლასები. I | II | III | IV | სულ. — |
|---|---|---|---|---|---|
| ქართული ენა | 3 | 2 | 2 | 2 | 9 |
| ისტორია | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| არითმეტიკა | 1 | 1 | 1 | 1 | 4 |
| გეომეტრია | 2 | — | — | — | 2 |
| გეოგრაფია | 2 | — | — | — | 2 |
| ხატვა | 1 | 2 | 1 | — | 4 |
| მიწის ზომვა | — | 1 | 2 | — | 3 |
| ბოტანიკა | 4 | 2 | — | — | 6 |
| ზოოლოგია | 4 | 1 | — | — | 6 |
| ქიმია | 3 | 3 | — | — | 6 |
| ფიზიკა მეტეოროლოგიითურთ. | 3 | 3 | — | — | 6 |
| მემცენარეობა | — | 4 | 2 | 4 | 10 |
| მებაღეობა | — | — | 1 | 2 | 3 |
| მებოსტნეობა | — | — | 1 | 1 | 2 |
| მევენახეობა და მეღვინეობა | — | — | 2 | 3 | 5 |
| მესაქონლეობა | — | 4 | 2 | 3 | 9 |
| მეფუტკრეობა | — | — | 1 | 1 | 2 |
| მეაბრეშუმეობა | — | — | 1 | 1 | 2 |
| სასოფ. სამეურ. ეკონომია | — | — | 3 | 2 | 5 |
| ანგარიშის წარმოება | — | — | 2 | 2 | 4 |
| კანონების შესწავლა | — | — | 2 | 1 | 3 |
| | 24 | 24 | 24 | 24 | 96 |

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ს. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ნ. რამიშვილი.**

# განკარგულებანი

**შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.**

22 ოქტომბერი, 1920 წ. № 61. *)

**დამტკიცებულ იქმნას:** მოქალაქე სერგო გრიგოლის ძე წერეთელი საქართველოს დეპეშათა სააგენტოს დირექტორის ამხანაგის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად.

მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

—

**იუსტიციის მინისტრისა.**

29 ოქტომბერი, 1920 წ., № 378.

**მოწვეულ იქმნას:** იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ მომქმედ კანონთა გადამსინჯავ კომისიის წევრად არტაანის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი კონსტანტინე ივანეს ძე პლეტნიკოვი თავის თანამდებობაზე დატოვებით ამა წლის ოქტომბრის 23-დან.

№ 379.

**დაინიშნოს:** არტაანის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი კონსტანტინე ივანეს ძე პლეტნიკოვი ლორის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ამა, წლის ოქტომბრის 23-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება.

# შინაგან საქმ. სამინისტროში

**გენერ.-გუბერნატორის თანამდებობის მოსპობა.**

შინაგან საქმეთა სამინისტრო ამზადებს მთავრობის წარსადგენად მოხსენებას ტფილისის საგენერ.-გუბერნატოროს გაუქმების შესახებ. ამ საკითხის წამოება დასაბუთებულია მით, რომ ცხოვრება ტფილისში ნორმალურ კალაპოტში ჩადგათ.

# გარეშე საქ. სამინისტროში

**უცხოეთიდან მოსული წერილები.**

სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებამ მიიღო შემდეგ პირთა წერილები: 1) ოდეტ კაინი, 2) ალ. არაბიძე, 3) გიორგი გედევანიშვილი, 4) გიორგი ჯინორია, 5) ქ-ნ გვარჯალაძე, 6) საიდ შამილ ბეი, 7) ვარლამ ჩერქეზიშვილი, 8) სოლ. მაჭავარიანი, 9. იოსებ ხატიაშვილი, 10) ბორდმენ, 11) ალექსი ხვიტია, 12) ელენე თვალაძე, 13) გიორგი ჯაბადარი, 14) პროფ. მელიქოვი, 15) ბ-ნი ხერბერტი, 16) მიხ. თუმანიშვილი, 17) რანდი ბრუნო, 18) ჯაბადარი, 19) თამარ ნიჟარაძე, 20) ვიქტორ ნაკაშიძე, 21) ტერეზია არსენევა, 22) ელენე კარგარეთელი, 23) მ. ს. ჯაფარიძე, 24) ზოია შჩერბაჩევა, 25) ტერეზია ადამოვა, 26) მეხედი მეხედიევი, 27) მ. ი. შმულევიჩი, 28) ვ. პენექენიკოვი, 29) დავით თედეშკილი, 30) აზიკ შარიფოვი, 31. ქ-ნ ნაგელი, 32) გრიგოლ ბერიძე.

ბ. ივ. ნემსაძეს, რომელმაც სტამბოლიდან პაკეტები ჩამოუტანა სამინისტროს, საინფორმაციო განყოფილება სთხოვს შემოიაროს, საინფორმაციო ბიუროში (ერმოლოვის ქ. № 9) დილის 10-დან 3 საათამდის.

# შრომის სამინისტროში

**კონფლიქტი გოგირდის აბანოების მუშებსა და ადმინისტრატორის შორის.**

შრომის სამინისტრომ განიხილა რა გოგირდის აბანოების მუშებსა და ადმინისტრაციის შორის მომხდარი კონფლიქტი შემდეგ დასკვნამდე მივიდა:

1) შტატის შემოკლების გამო მოსამსახურეები დაითხოვა ქალაქის საბჭომ, ამიტომ მუშებმა სალიკვიდაციო ფული მასვე უნდა მოსთხოვონ; 2) საბჭომ უნდა მისცეს ჯილდო თავისი თანხიდან, თუ ეს საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულია, თუ არ არის გათვალისწინებული მაშინ ჯილდოს იხდის მესაკუთრე. შრომის სამინისტრო სთხოვს საბჭოს გაუსწორდეს მუშებს. თვით კონფლიქტი განსახილველად გადაეცა მთავრობას, რომელმაც თავის მხრივ იგი დასკვნისათვის იუსტიციის სამინისტროს გადასცა.

—

# უცხოეთი

(გაზეთებიდან).

**ინგლისი და აღმოსავლეთი.**

გაზეთ „ბოსფორის" სიტყვით ინგლისი ამ ჟამად დიდ ყურადღებას აქცევს აღმოსავლეთს. პარლამენტის კომისია ლლოიდ ჯორჯს და კერზონს შეეკითხა, თუ მთავრობა რა ზომებს იღებს აღმოსავლეთში ინგლისის ინტერესების დაცვისათვის. ხმელთაშუა ზღვის ფლოტმა ბრძანება მიიღო, რომ იგი გამუდმებით ტრაპეზუნდის მახლობლად იმყოფებოდეს. ინგლისის საზღვაო ძალა კონსტანტინოპოლთან გაძლიერებულია. ამ რამდენიმე დღის წინად კონსტანტინოპოლში ჩამოვიდა ინგლისის ჯარების რამდენიმე ტრანსპორტი.

**ისტორიულ ეკლესიის დანგრევა.**

კონსტანტინოპოლის გაზეთები იტყობინებიან, რომ ნიკეაში ქემალისტების მიერ დანგრეულია ისტორიული ძველი ეკლესია. ამის გამო მსოფლიო პატრიარქმა პროტესტით მიმართა მოკავშირე სახელმწიფოებს.

**ბერძნები და ქემალისტები.**

საბერძნეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ ქემალისტებს დიდი იერიშები მოაქვთ საბერძნეთის სოფლებზე იზმიდიდან დაწყებული თვით ტრაპეზუნდამდე. მათი მიზანია ბერძენთა დარბევა.

(საინფ. ბიუროს ცნობა)

**სახელმწიფოების ვალები.**

გაზეთ „ტაიმსის" ცნობით თითეულ სახელმწიფოს ვალი მოქალაქეზე შემდეგ ციფრებით გამოიხატება: ინგლისში 4000 ფრ., საფრანგეთში 5100 ფრ., იტალიაში 2000 ფრ., თუ გერმანიის ვალებს მიუმატებთ 150 მილიარდ ფრანკს, რომელიც მან მოკავშირეებს უნდა მისცე, მაშინ თითეულ გერმანელს 5 ათას ფრ. გადახდება.

**კონფერენცია ბუდაპეშტში.**

ბუდაპეშტში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია სტამბოლ-პარიზის შორის მატარებლების მიმოსვლის შემცირების საკითხის განსახილველად. კონფერენციაში ყველა დაინტერესებული ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას.

**არეულობა იტალიაში.**

იტალიის პრესა გადმოგვცემს: იტალიაში არეულობის გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ეს არეულობა რუსისა და უნგრეთის ბოლშევიკების აგენტების მიერ არის მოწყობილი, რომლებიც იტალიაში მოვიდენ საპროპაგანდოდ აუარებელი ფულით. კომისიამ გამოარკვია, რომ ამ აგენტებს შორის დიდ როლს თამაშობდა უნგრელი ტოკგრაფი.

**ელზას ლოთარინგი.**

„ფრანკფურტერ ცაიტუნგი" იუწყება, რომ ელზას ლოთარინგიდან, რაც რომ საფრანგეთის ხელში გადავიდა 130,000 მცხოვრებმა დასტოვა. აქედან 50,000 მცხოვრები გერმანიაში გადასახლდა და 20,000 დასასახლებლად გერმანიის მთავრობა შესაფერ ადგილს ეძებს.

**რუმინეთი და უნგრეთი.**

იმავე გაზეთის ცნობით რუმინეთი ცდილობს უნგრეთთან დაახლოებას. ბუქარესტში სლავიანთა სახელმწიფოებთან კავშირში რუსეთის საფრთხის თავიდან ასაცილებლად საკმაოდ არ მიაჩნიათ. რუმინეთსა და უნგრეთს შორის მოლაპარაკება უკვე დაიწყო. მოლაპარაკებას ტრანსილვანიის საკითხი აფერხებს. უნგრეთი ტრანსილვანიის ავტონომიას თხოულობს, რასაც მას რუმინეთი ეწინააღმდეგება.

**საფრანგეთის რადიო-ტელეგრაფის მოწყობა.**

საფრანგეთის პრესა იუწყება: საფრანგეთმა ენერგიული ზომები მიიღო, რათა მთელ ქვეყნიერებაზე მას საუკეთესო რადიო-ტელეგრაფი ქონოდა. ბორდოში გაიხსნა ახალი რადიო სადგური, ფრანგულ რადიო-ტელეგრაფის უწყების მიერ. ეს სადგური ყველა არსებულ უმავთულო ტელეგრაფზე უძლიერესია, ამ სადგურის სივრცის ტალღები 20.000 კილომეტრზე მიდის. ბორდო უნდა შეიქნეს მთავარი რადიო სადგური ამერიკასთან მოსალაპარაკებლად. ამასთანავე საფრანგეთს სურს ასეთივე დიდი სადგურები მოაწყოს ინდო ჩინეთში, ალჟირში, საფრანგეთის დასავლეთ აფრიკაში, კონგოში და მადაგასკარში.

—

# საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**ე. სნოუდენი საბჭოთა რუსეთის შესახებ.**

ინგლისის მუშათა დელეგაციის წევრი ე. სნოუდენი, რომელიც რუსეთში იყო და შემდეგ საქართველოში გაემგზავრა თავის წიგნში საბჭოთა რუსეთს ასე ახასიათებს: „უნივერსიტეტის პროფესორები ჩვენთან მოდიოდნენ დაფხრეწილ დაგლეჯილ ტანისამოსით, ისე, როგორც ჩვენში, ინგლისში დაიარებიან მაწანწალები. ხშირად მინახავს ქალები, რომელთაც ტანზე მარტო ჩითის კაბები სცმიათ. ისინი შურით შეჰყურებდნენ ჩვენს ფეხსაცმელებს და სიამოვნებას გრძნობდნენ როდესაც ფეხსაცმელების ტყავს ხელით შეეხებოდნენ. პეტროგრადი ხომ ნამდვილი მკვდარი ქალაქია. ომამდე აქ ცხოვრობდა 2 მილიონამდე ხალხი. ეხლა 900 ათასზე მეტი აღარ იქნება. რა იქნა ეს ხალხი? ზოგი გაიქცა, ზოგი, რასაკვირველია დაიხოცა სიმშილისგან და საშინელ გაჭირვებისგან. რაც შეეხება თავისუფალ ცხოვრებას, აქ ლაპარაკიც ზედ-მეტია. ყველგან შევიწროებას და უბედურებას ნახავთ".

**დახვრეტა.**

„ქრტომირსკაია" იზვესტია" გადმოგვცემს, რომ კამენეც-პოდოლსკში ბოლშევიკებმა დახვრიტეს 80 უკრაინელი. მათ შორის მოჰყვნენ ყოფილი დეპარტამენტის დირექტორი მატვეევსკი, მსახიობი ორელი, სემინარიის რექტორი ტაბელნსკი, პროფესორი ი. ბელეცკი და ისტორიკოსი სეცინსკი.

**პეტროგრადის უნივერსიტეტებში.**

გლეხთა და მუშათა ინსპექციის გამოკვლევით პეტროგრადის უნივერსიტეტებში აუდიტორიები თითქმის ერთიანად დაცალიერებულია. 7 ათასს მსმენელთაგან ლექციებს ესწრება 300 კაცი.

**პროლეტკულტის ლიტერატურული სტუდია.**

მოსკოვში პროლეტკულტის სექციამ გახსნა პროლეტკულტის ლიტერატურული სტუდია. სტუდიაში იმეცადინებენ ისინი ვინც მომავალში პროლეტარული მწერალი იქნება.

**ვრანგელი და დონის ყაზახობა.**

ასეთის სათაურით „პრავდა" სწერს: ვრანგელს, როგორც ყველა მის წინამორბედს, იმედი აქვს ყაზახების... დონის ყაზახობა, რომელიც ყველა თვალსაჩინო თეთრგვარდიელის დასაყრდნობი იყო, ამ შემთხვევაში თეთრ ავანტიურაზე არ წავიდა. ვრანგელის პროგრამაში შედის ყაზახთა აჯანყება წითელი ჯარის ზურგს უკან. ამითი მას სურს ზურგის დაუძლურება. აჯანყების იმედები იყო. ყაზახთა სოფლებში საბჭოთა მთავრობა ახლად ეწყობოდა. მოსულმა მუშაკებმა ადგილობრივი პირობები კარგად არ იცოდენ. ადგილობრივი მუშაკები არ იყვნენ კარგად გამოცდილნი. ისარგებლებს რა ყოველივე ამით ვრანგელის კონტრევოლიუციონერებმა დაიწყეს მუშაობა და აჯანყების მზადება. მაგრამ რამდენადაც წარსულში ყაზახები ადვილად აჰყვებოდენ აჯანყებას საბჭოთა წინააღმდეგ, ეხლა იღებდენ რა მხედველობაში წარსულს, ისინი იმდენათ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ გენერლის მუშაობას.

—

# სომხეთში

(საქ. არსებულ სომხეთის დიპ. მისიის ცნობა)

— სომხეთის ჯარების მთავარ-სარდლობის ცნობა: ოქტ. 23. თანახმად ეხლახან მიღებული ცნობისა ყარსის რაზმის ერთი ნაწილი შეტევაზე გადავიდა და ბრძოლით ტურკმანაშენის რაიონი დაიჭირა—მტერმა სამხრეთისაკენ დაიხია.

— 22 ოქტ. მერდენიკის მიმართულება. ჩვენ სოფელ ტიკოშის სიმაღლე დავიჭირეთ. სურმალინის მიმართულება: ოქტ. 22 სურმალინის რაზმმა მთელ ფრონტზე იერიშები მიიტანა მტერი უკუაგდო. ბრძოლა გრძელდება. სარაყამიშის მიმართულებით წმინდა ილიას (ზიარესტი) მთის რაიონში და აჯარხალილის მთის სამხრეთით მზვერავები მოქმედებენ. ოქტ. 24 სურმალინის მიმართულებით სოფ. კიულიუკსა და ზემო გარუხჩის, სოფ, სულთანაბად აგოირ და მთა დაბგურუნსა, და სოფ. კრაკოუინუ და სოფ. მალაკლიუს მიმართულებით მტერმა თითქმის შესძლო სოფ. კარაკოინლეს—კიულიუკ ზემოჭორიოხის სულთანაბადის და შოურუნის ტოხანშალუ-კაჯარ-ტასანშალუ ბრთასა დაკავება, მაგრამ საღამოს მდგომარეობა სავსებით აღვადგინეთ. მეღენიკის მიმართულებით: სოფ. მოლა ჰასანის მხრიდან მტერი შეეცადა სოფ. მეკუჩსა და ტიკოშზე შემოტევას, მაგრამ უკუვაგდეთ. ოქტ. 25 სურმალინის მიმართულება: მტერმა იგდირზე შემოტევა განაახლა. კარაკოიუნლუს იგდირის და იგჯინის რაიონში მკაცრი ბრძოლა გრძელდება.

ყარსიდან იუწყებიან: ფრონტის მრავალ ნაწილებში დიდი თოვლი მოვიდა.

—

# დეპეშები

**ლიონის ცნობები.**

**სირიაში.**

სირიაში მშვენიერი მდგომარეობაა. სადმინისტრაციო, დიპლომატიური და სამხედრო ზომების მიღებამ საფრანგეთის უმაღლეს კომისრის მიერ თავისი კეთილყოფილი გავლენა უკვე მოახდინაო, სწერს „ფიგარო".

საბერძნეთის ელჩი, რომელიც ვენიზელოსს გაჰყვა საბერძნეთში ისევ პარიზს დაბრუნდა.

**დასაფლავება საბერძნეთის მეფისა.**

საბერძნეთის პალატის სხდომა შესდგება მომავალ ხუთშაბათს. საბერძნეთის მეფეს ალექსანდრეს მომავალ პარასკევს დაასაფლავებენ.

**ინგლისის მემადაროეთა გაფიცვა.**

მემადაროეთა აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა დღეს დაიწყოს ოფიციალური მოლაპარაკება ბრიტანეთის მთავრობასთან.

**ყირიმში.**

გენ. ვრანგელთან მყოფი საბერძნეთის უმაღლესი კომისარი, გრაფი დე-მარტელი სევასტოპოლში გამოვიდა.

**ლევანი.**

არეულობა შესწყდა (დამახინჯებულია) რკინის გზების არსებობა უზრუნველყოფილია პოლკოვნიკ გუმოს ხელმძღვანელობით. ჯარი მივიდა ათონში ალებოსა და ალექსანდრია შორის სავაჭრო დამოკიდებულება. განახლდა დამასკის რაიონში სიწყნარეა.

**ერთა ლიგის საბჭო.**

სამშაბათს ერთა ლიგის საბჭომ განიხილა პოლონეთსა და ლიტვას შორის არსებული უთანხმოება და განსაკუთრებით ამას წინად მომხდარ ინციდენტი პოლონეთის და ლიტვის დელეგატებმა გამოსთქვეს თავის მთავრობათა მოსაზრებანი.

**პადეევსკის ავადმყოფობა.**

„ტანის" ცნობით ერთა ლიგაში დანიშნული დელეგატი ავად გამხდარა და ბრიუსელში წასვლა ველარ შეუძლია.

**რეინის ქვანახშირის სინდიკატი.**

რეინის პორის ქვანახშირის სინდიკატი იძულებული გახდა ქარხნებისათვის ელექტრონის ენერგიის მიწოდებაზე უარი განეცხადებია იმის გამო რომ ანტანტამ მოულოდნელათ მოითხოვა ნახშირი და ეს მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს. ეს მოვლენა ვესტფალის მრეწველობაზე დამღუპველ გავლენას იქონიებს.

**ნახშირის უქონლობა.**

ნახშირის უქონლობის გამო პრუსიაში თეატრები უნდა დაიხუროს საღამოს 10 საათზე ბერლინში კი 11 საათზე.

**იტალიაში.**

მიტოიესტის ქუჩებში სოციალისტებსა და პატრიოტებს შორის შეტაკება მოხდა. ჟურნალისტების დაჭრის შემდეგ ბრბომ სოციალგაზეთის რედაქცია დასწვა.

**ბულგარეთში.**

სოციალისტების წინადადებით ბულგარეთის ყრილობამ ერთხმად მიიღო პროექტი ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ.

**ცეპელინების კეთება.**

„ციურიხერ ცაიტუნგი" იუწყება: გერმანიაში სასწრაფოთ ასრულებენ უზარმაზარ ცეპელინის კეთებას ბერლინსა და სანფრანსისკოს შორის დამოკიდებულების დასამყარებლად. ბერლინიდან სან-ფრანსისკოში გადაფრენისას ჰაეროპლანი პარიზსა, ნიუიორკსა და ჩიკაგოში შეჩერდება. გადასაფრენათ 4 დღე და ღამე დასჭირდება.

—

# ახალი ამბები

✦ **კულტურული მუშაობა ჯარში.** დღეს, ოქტომბრის 28-ს, მესანგრე ათასეულში ამავე ათასეულის ჯარის-კაცების მიერ წარმოდგენილი იქნება: 1. „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინენ" კომედია ცაგარელისა. 2. „პარტია პურტია", ვოდევილი სუხიშვილისა. 3. დასასრულს დივერტისმეტი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

✦ **დუშეთის ერობაში:** დუშეთის ერობამ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით 5 წლით 10 მილიონ მან. სესხის მიცემის შესახებ. დუშეთის ერობა იუწყება: მცხეთაში მოტორიან წისქვილის და ხე-ტყის სახერხ მანქანის მოწყობას შეუდექით. სწორედ ამ სამუშევარის დასამთავრებლად ერობა ითხოვს ზემო აღნიშნულ თანხას.

✦ **გურია აჭარის ბანკი.** ფინანსთა სამინისტროში შემოვიდა შუამდგომლობა გურია-

---

*) ეს განკარგულება მეორედ იბეჭდება, რადგანაც პირველად გაუსწორებელი ასლი გამოეგზავნა სამინისტროს.

რედ.

აჭარის ბანკის წესდების დამტკიცების შესახებ. ამ ბანკის დაარსება განზრახულია ბათომში. ძირითადი კაპიტალი იქნება 5 მილ.

**საოლქო სასამართლოს მოლაპარაკება.** თბილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარემ აუწყა იუსტიციის მინისტრს, რომ ოლქის სასამართლოს პარალელურ სხდომების ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ნაფიცი მსაჯულნი წესიერად ესწრებიან. ზოგიერთი საქმეები მაინც იდება მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო, თუმცა მოწმებს სათანადო უწყება თავის დროზე ბარდებათ. სასამართლოს ადმინისტრაციისაგან მიღებულია ზომები მოწმეების თავის დროზე გამოცხადებისათვის. მოწმე გამოუცხადა ახლო მომავლისთვის დაჯარიმებული იქნება, ხოლო თუ მეორეთ არ გამოცხადდა, მილიციის საშუალებით იქნება მოყვანილი.

**ტეხნიკურ კომიტეტის სხდომა.** ხუთშაბათს ოქტომბრის 28, ტეხნიკურ კომიტეტის ტეხნო-ქიმიური განყოფილების სხდომა, რომელზედაც განიხილავენ 1) კ. პერეკოტიას შუამდგომლობას, რომელიც ითხოვს პრივილეგიას საშრობზე. ეს საშრობი, რომელსაც სახელათ „გამარჯობა" ეწოდება, გაკეთებულია ისე რომ საშრობი ქაღალდი არ არის ნახმარი, 2) განიხილავენ ნ. პანცირევის შუამდგომლობას სხვა და სხვა საგანის გასაკეთებლად „კოკის ნარევზე პრივილეგიის მიცემის შესახებ, 3) განიხილავენ ვ. ლაგამერის შუამდგომლობას სითხეთაგან ქიმიურათ წმინდა ნახშირ-ჟანგის მისაღებ საშუალების გამოგონებაზე პრივილეგიის მიცემის შესახებ, 4) განიხილავენ აგრეთვე ს. რაჭვადოვსკისა და 5) ვ. სურინის შუამდგომლობათ, რომლებიც სხვა და სხვა გამოგონებებზე პრივილეგიის მიცემას ეხება.

**ერობათა კავშირის კომიტეტის გამოცემა.** ერობათა კავშირის კომიტეტს განზრახული აქვს ახლო მომავალში გამოსცეს ცალკე წიგნად ქართულად მასალები სამაზრო და სათემო ერობათა თანამედროვე მდგომარეობის შესახებ, ბ. ბ. გრიგორიანცის და კონის სტატისტიკური შრომები.

**მუშათა მაგიდა.** მუშათა მაგიდა აცხადებს იმ პირთა სიას, რომლებიც მომარაგების ფონდიდან პურსა და სხვა სურსათს ორ ადგილიდან ღებულობდნენ: 1. მართა ალექსანდრეს ასული ბორიცკაია, 2. ედესია კონსტანტინეს ასული ჟუკოვა, 3. ელენე პეტრეს ასული ფალავანდიშვილი 4. კოტე გიორგისძე ფოცხვერაშვილი, 5. მარიამ ალექსის ასული ფოგორცი, 6. იუსტინე ირაკლის ძე აბულაძე, 7. მარიამ კოსტ. ასული ფარესაშვილი, 8. იულია ნიკოლოზის ასული ფავლენიშვილი 9. იოსებ მაქსიმეს ძე ძნელაძე. 10. კონსტანტინე გაბრიელის ძე უშაკოვი, 11. იოსებ მაქსიმეს ძე ძნელაძე, 12. ვალერიანე კონსტანტინეს ძე ხარჩილოვი, 13. არტემ ხარბელის ძე ასატუროვი, 14. ალექსანდრე იაკობის ძე მარტინენკო, 15. შალვა მიქელაძე, 16. ივანე მალაქიას ძე მესერიძე, 17. მარიამ ალექსის ასული მრევლიშვილი, 18. ბარბალე სტეფანეს ასული მხითაროვი. ეს პირები გარდა ამისა რომ სურსათს დაკარგავენ მიცემულნი იქნებიან პასუხის გებაში.

**პოლიტეხნიკუმი.** ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. დიდებულიძემ, გენერალ თაყაიშვილის მონაწილეობით შეიმუშავა პროექტი პოლიტეხნიკუმთან სამხედრო საინჟენერო განყოფილების გახსნის შესახებ შემდეგი განყოფილებით: 1. საფორტიფიკაციო-საამშენებლო, (ოთხ წლიანი კურსები) 2, საავიაციო (3 წლიანი კურსები) 3) საინჟენერო სასიგნალიზაციო (3 წლიანი კურსები) სამხედრო საინჟენერო განყოფილებაზე მიიღებენ მხოლოდ სამხედრო წოდების პირთ. განზრახულია მეცადინეობა ნოემბრის 1, ან იანვრის 1 დაიწყოს.

**საქალაქო საქმეები.** ქალაქის გამგეობის დადგენილებით ოქტომბრის 23 ქალაქის სასაკლაოსთან მოეწყო ხორცის კანტორა. კანტორის მიზანია ებრძოლოს ამ დარგში სპეკულიაციას. კანტორა ყოველ დღე შეადგენს უწყებას იმის შესახებ თუ ხორცის რამდენი მოთხოვნილება იყო და რამდენი იქნა გაყიდული. ყოველგვარ გაუგებრობას მყიდველებისა და გამყიდველების შორის სწყვეტს ხორცის კონტორა.

**ქალაქის საბჭოში.** ქალაქის საბჭოს სამხედრო განყოფილებამ მიმართა სახალხო განათლების სამინისტროს თხოვნით აცნობოს მას სია საშუალო სასწავლებელში მყოფ 1899 წელში დაბადებულ მოწაფეებისა, რომელთაც 1919 წელში ეხებოდა სამხედრო ბეგარა, მაგრამ სწავლის დასასრულებლად ერთი წლის თავისუფლება მიიღეს. ასეთი მოწაფეები უნდა გამოცხადდენ მიმღებ კომისიაში მიმდინარე წლის ნოემბრის 15.

**ქვა-ნახშირის კონცესია.** იტალიის პოლიტიკურ მისიის საშუალებით ფინანსთა სამინისტრომ რომიდან იტალიის საგარეო მინისტრის სფორცასაგან მიიღო ცნობა იტალიის მიერ ტყვარჩელის ქვა-ნახშირის კონცესიაზე ხელის მოწერის შესახებ. იტალიას აზრათ აქვს დაუყონებლივ გაიგზავნოს საქართველოში მოსამსახურეთა საჭირო შტატი და საწარმოო მანქანები. თუ ზამთარმა არ შეუშალათ ხელი წინასწარი მუშაობა დაუყონებლივ დაიწყება.

# ქალაქთა კავშირში

ოქტ. 23 ს. ქალაქთა კავშირის თავმჯდომარის ნ. ელიავას თავმჯდომარეობით, მუნიციპალურ ბანკის დაარსების საკითხის გასარჩევად შესდგა ერობათა კომიტეტის და ქალაქთა კავშირის წარმომადგენელების თათბირი. საქართველოს კომუნალურ ბანკის დაარსების შესახებ მოხსენება წაიკითხა ე. ა. ბერგმა მომხსენებელმა შემდეგი თეზისები წამოაყენა: 1) ქალაქთა და ერობათა ფინანსების კრიტიკული მდგომარეობა, 2) თვითმართველობათა მიზნები, ეკონომიურ კრიზისთან ბრძოლის მოსაწყობად, 3) კომუნალურ კრედიტის მოწყობის და გაერთიანების აუცილებლობა, 4) ფულის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა, 5) ფულის ბრუნვის მოშლა და ამ მოშლის შედეგი საკრედიტო დაწესებულებათა შოქმედებისათვის, 6) კომუნალური ბანკი, მისი მოწყობის შესაძლებლობა დღევანდელ პირობებში, 7) კომუნალურ ბანკის კერძო, სახელმწიფო ხაზინის სესხი და 8) ბანკის შემწეობით ძირითადი თანხა, საკუთარი და სააქციონერო კერძო კაპიტალის მოწვევით საწარმოო დაწესებულებათა მოწყობა და სხვა. მოხსენეის მოსმენის შემდეგ თავმჯდომარემ სთხოვა დამსწრეთ გამოეთქვათ თავიანთი აზრი კომუნალურ ბანკის დაარსების შესახებ, მაშინ როდესაც არსებობს სახელმწიფო ბანკი, რომელიც აძლევს მცირევადიან კრედიტს მუნიციპალურ და სხვა ცენტრებსო. კამათის დროს, ზოგიერთმა წევრებმა გამოსთქვეს სურვილი მუნიციპალურ ბანკის დაარსებისა, სააქციონერო საფუძველზე. ქალაქთა კავშირის ზოგიერთმა წევრმა აღნიშნა, რომ არსებულ პირობებში არ არის საჭიროება მუნიციპალურ პალატის ბანკის დაარსებისათ, ვინაიდან მუნიციპალიტეტების საჭიროებას აკმაყოფილებს სახელმწიფო ბანკი და ან სახელმწიფო ხაზინაო. ამიტომ საჭიროა უფრო სახელმწიფო ბანკის განმტკიცება. ეს კი შეიძლება თუ სახელმწიფოს ბანკის კლიენტები იქნებიან ქალაქები და ერობები, რომლებიც ქონებრივად უფრო უზრუნველყოფილნი არიან. ელიავამ თავის მხრივ აღნიშნა, მუნიციპალურ ბანკის დაარსების სასურველობა თუ იგი მოწყობილი იქნება ურთიერთ პასუხისმგებლობის პრინციპზეო. ი. სტურუას მიერ აღძრულ საკითხზე, რომელიც მუნიციპალურ ბანკის მიერ თავის ბანკნოტების გამოშვებას შეეხებოდა, ელიავამ აღნიშნა ასეთი ზომის უმიზნობა, ვინაიდან მუნიციპალურ ბანკის ბანკნოტებს არ ექნებათ ისეთი ნდობაო. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ნ. ელიავამ აღნიშნა, რომ ეს მოხსენება მთავარ კომიტეტს წარედგინება მორიგ სხდომაზე, რომელიც ოქტ. 26 ს შესდგებაო.

# ერობა

## ქუთაისის სამაზრო ერობაში.

### უკანასკნელი დადგენილებანი.

თანახმად ხმოსანთა ყრილობის მიერ მიღებულ ხარჯთ-აღრიცხვისა, დაევალოს ტეხნიკურ განყოფილებას შეუდგეს წინასწარ მუშაობას გუბის წყლის ნაპირების გამაგრების შესახებ. საჭიროების მიხედვით წინადადება მიეცეს დაინტერესებულ თემის მცხოვრებთ გამოვიდენ სამუშაოდ თანახმად დამფუძნებელ კრების მიერ გამოცემულ დეკრეტისა საგზაო ბეგარის შესახებ.

— აღიძრას სათანადო შუამდგომლობა მიწათ მოქმედების სამინისტროს წინაშე, რათა ნაწილი იმ თანხისა, რასაც სამინისტრო ღებულობს მაზრის საფონდო მიწებიდან გადაეცეს ერობას არხების გასაკეთებლად კერძოდ აჯამეთის არხის გაკეთებას დაუყონებლივ შეუდგეს ტეხნიკური განყოფილება; შესდგეს აქტი იმის შესახებ, თუ როგორ მდგომარეობაში იყო ეს არხი ჩვენ მიერ მიღების დროს.

# ბ ა თ ო მ ი

— გემ „ამბროსი"-დან რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა ბათუმში შეძენილია 13 ათასი ფუთი ქერი.

— ბათუმის და ტფილისის მუშათა მაგიდამ იყიდა ოთხი ვაგონი თეთრი ფქვილი. კონსტანტინეპოლიდან ბათუმში მოელიან 12 ათას ფუთს თეთრ ფქვილს.

— ნობელის ფირმიდან შეძენილია ფეხსაცმელები ჯარისათვის.

— ახლო მომავალში ბათუმში ჩამოვა რამდენიმე ათასი ფუთი ქერი. ქერის შესაძენათ სწარმოებს მოლაპარაკება. შესყიდულია ორი ვაგონი სიმინდი.

— ბათუმში არსდება სანიტარული საბჭო რომელიც წინადაც არსებობდა და ქალაქის სანიტარულ მხარეებს განაგებდა. საბჭოს დაევალება ბათუმის სანიტარული ყურის გდება.

# ეპისკოპოს მორიონდოს მგზავრობა საქართველოში.

ახალციხიდან დაბრუნდა პაპის ლეგატი ეპისკოპოსი მორიონდო. საქართ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ეპისკოპოზ მორიონდომ განაცხადა, რომ მან დიდი სიამოვნებით იმგზავრა საქართველოში. საქართველოსთან უახლოესმა გაცნობამ დაარწმუნა იგი, რომ საქართველო პროგრესის გზაზე სდგას. უეჭველია რომ ახალგაზრდა რესპუბლიკის დამოუკიდებელი არსებობა, სამშობლოს სიყვარული, და თავისუფლება შექმნის ნიადაგს რესპუბლიკის მომავალ განვითარებისათვის. საქართველოს მთავრობის დახმარებით მე შემოვიარე მთელი საქართველო. ჩემს მგზავრობას, რა თქმა უნდა, არავითარი პოლიტიკური ხასიათი არ ჰქონია. მე ვარ საქართველოს კათოლიკურ ეპარქიის ეპისკოპოსი და ჩემი მგზავრობის მიზანი ახალციხეში იყო ქართველ კათოლიკეთა უბლებრივ მდგომარეობის აღდგენა. ქართველი კათოლიკენი, როგორც სჩანს, ჩემი ჩასვლით მოხარულნი იყვნენ და ახალციხეში ჩემი ყოფნის დროს დაადგინეს სომეხ კათოლიკებისაგან გამოყოფა.

საქართველო თავისი ისტორიულ ძეგლებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ეს ძეგლები მაჩვენებელნი არიან საქართველოს ძველი კულტურის და ცივილიზაციის სიდიადისა.

# კოოპერატიული ცხოვრება.

— ცეკავშირის საწარმოო განყოფილება შეუდგა წინასწარ მუშაობას შავი ზღვის პირზე ზღვის ღორების (დელფინების) ქერისა და მეთევზეობაზე მთავრობისაგან კონცესიის მისაღებათ. ამის შესახებ უკვე აღიძრა სათანადო შუამდგომლობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე.

— ცეკავშირის გამგეობამ დაადგინა შეუდგეს კოოპერატიულ საამშენებლო მუშაობას ახალციხის მაზრაში ერობის გამგეობასთან შეთანხმებით. ამ მიზნით ერობის გამგეობასთან დაარსდება კოოპერატიული განყოფილება, რომელიც ცეკავშირის გამგეობის აზრით უნდა დაექვემდებაროს მის—ცეკავშირის დირექტივებს.

— ცეკავშირის თანამშრომელთა საბჭოს ინიციატივით უკვე მოხდა შეთანხმება ცეკავშირის გამგეობის წარმომადგენლის ი. ლ. ცაგარლის და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობის შორის კოლექტიურ ხელშეკრულების ძირითად პროექტის შესახებ. პროექტი უკვე წარედგინა ცეკავშირის თანამშრომელთა საზოგადო კრებას, რომელმაც იგი მიიღო ცოტაოდენი შესწორებით. მალე მოკლე ხანში მოხდება ცეკავშირის და პროფესიონალურ კავშირის გამგეობათა შეერთებული სხდომა ხელშეკრულების საბოლოვოთ განსახილველათ.

— ცეკავშირის წარმომადგენელმა დიდი ბრიტანეთის კოოპერაციასთან ან. გუგუშვილმა შემდეგი წერილი მიიღო საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის მდივან ბ. მეისაგან:

„საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის წარმომადგენელს ქ. ლონდონში.

დიდათ პატივცემულო ბ. გუგუშვილო!

საქართველოში თქვენი გამგზავრების გამო ნება მომეცით მოგახსენოთ საერთაშორისო კოოპერატიული კავშირის სახელით ჩვენი კმაყოფილება საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის წევრათ მიღების გამო.

ჩვენი სიმპატიები მუდამ თქვენსკენ იყო, მაგრამ უკანასკნელ რამოდენიმე წლის კატასტროფის შემდეგ ჩვენი ძმობის გრძნობა იმდენად კიდევ გაღრმავდა, რომ ამ ჟამათ ჩვენ უფრო, ვიდრე ოდესმე, გვსურს, რომ ჩვენმა კავშირმა გააერთიანოს ყველა ხალხები განურჩევლათ მათი ეროვნებისა და ენისა.

ცნობამ, რომელიც ჩვენ ამას წინეთ მივიღეთ თქვენი საშუალებით საქართველოს კოოპერატიულ კავშირის თავმჯდომარის ბ. დარჩიახაგან ბუნების ძალთა მიერ თქვენი ქვეყნისათვის მიყენებულ უბედურებაზე, ჩვენ ღრმათ დაგვამწუხრა, და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თანაგრძნობა ჰპოვებს გამოძახილს საერთაშორისო კავშირის სხვა წევრთა გულშიაც და თქვენ საზოგადოებებს აღმოეჩინებათ რეალური დახმარება.

ნება მომეცით ამასთან დამოუკიდებლათ გამოვთქვა ჩვენი მტკიცე რწმენა, რომ მომავალი მშვიდობიანობა და პროგრესი დამოკიდებულია არა მთავრობებზე და მმართველ წრეებზე, არამედ ფართო საზოგადოებრივ წრეებზე და ორგანიზაციებზე, რომელთაც კეთილშობილურათ შეინარჩუნეს თავისი იდეალები საერთაშორისო ისტორიის დიად მოვლენათა ხანაში.

ამიტომ ჩვენ ვიმედოვნებთ თქვენი ქვეყნისთვის სამეგობროთ და საერთო მუშაობისთვის გაწვდილ ხელით ჩვენ გავსწევთ წინ, ჩვენი იდეალების განსახორციელებლათ.

ბ-ნმა გუგუშვილმა წერილი მიიღო აგრეთვე დიდი ბრიტანეთის კოოპერატიულ ცენტრის გენერალურ მდივნისაგან.

— ცეკავშირის რწმუნებული დიდი ბრიტანეთის კოოპერატიულ ცენტრთან ან. გუგუშვილი აწარმოებს მოლაპარაკებას ამ ცენტრთან საქართველოში ინგლისის კოოპერაციის წარმომადგენლის გამოგზავნის შესახებ.

# წერილი რედაქ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გაზ. „საქარ. რესპუბლიკის" მე-234 ნომერში მოთავსებულია ჯუგაანის თემიდან „მეთვალყურეს" წერილი, რომელიც ეხება ჯუგაანის მომხმარებელ საზ. „ჩვენი ოჯახის" და ბრალს სდებს მის გამგეობას, რომელმაც ვითომ სისრულეში არ მოიყვანა საზოგადო კრების დადგენილება ნოქარის გადაყენების შესახებ.

ბ-ნი „მეთვალყურეს" წერილი სიყალბეზეა აშენებული, ვინაიდან ჯერ ერთი ამ წლის იანვარში ჯუგაანის მომხმარებელ კოოპერატივს არავითარი საზოგადო კრება არა ჰქონია. მორიგი საზოგადო კრება იყო მხოლოდ ა. წ. თებერვლის 15-ში, რომელზედაც გამგეობამ მოხსენება გააკეთა, როგორც ანგარიშებისა, და საქონლის მდგომარეობაზე— ისე საზოგადოთ კოოპერატივის საქმეების მსვლელობაზე. ამას მოჰყვა საბჭოს (რომელიც სარევიზიო კომისიის ფუნქციებსაც ასრულებს) დასკვნა, რომლიდანაც გამოირკვა, რომ წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოუხდენიათ რევიზია,—შეუმოწმებიათ აგრეთვე წლიური ანგარიშები და ყველაფერი რიგზე აღმოჩენილა. კრებამ ანგარიშები დაამტკიცა და არავითარ ხელახალი რევიზიაზე ლაპარაკიც არა ყოფილა.

კრებამ ორი გამგეობის წევრი, თავიანთი თხოვნის თანახმად, გაანთავისუფლა და მათ მაგიერ ახლები აირჩია. „მეთვალყურე" კი ამბობს გამგეობაში ძველი შემადგენლობა დარჩაო, რაც შეეხება ნოქრის დათხოვნას, ესეც არ შეეფერება სიმართლეს, რადგანაც მართალია კრებაზე ზოგიერთმა წევრებმა ნოქრის წინააღმდეგ წამოაყენეს ბრალდებები მაგრამ ეს ბრალდებები უსაფუძვლო გამოდგა, ამისათვის კრებას ნოქრის დათხოვნის შესახებ დადგენილება არ გამოუტანია. ყოველივე აქ ნათქვამს ამოწმებს საზოგადო კრების ოქმი (1920 წ. თებერ. 15 № 1), რომლის დამწერი, თუ არ ვცდებით იგივე წერილის ავტორი უნდა ბრძანდებოდეს.

რაც შეეხება იმის თქმას, ვითომ: „ხალხი კოოპერატივს და მის გამგეობას ალმაცერად და უნდობლათ უყურებსო", მოვახსენებთ ბ. მეთვალყურეს, რომ შეიძლება ორი-სამიოდე მტერი მართლა ყავდეს კოოპერატივს, მაგრამ ეს არც გასაკვირია—ასეთ კულტურულ საქმეს 100 მოყვარეში, 2—3 მტერი ყველგან ყავს და ასეთი ვაჟბატონების პროტესტი, მართლაც რომ არ არის ყურადღების ღირსი.

„ნოქარს 4000 მან. გაუფლანგავსო", ბრძანებს ქვევით ბ-ნი „მეთვალყურე" და ცდილობს ამ ფაქტით მაინც მოსცხოს ჩირქი გამგეობას, მაგრამ აქაც ანგარიში ეშლება; საქმე შემდეგში იყო: ენკენისთვის უკანასკნელ რიცხვებში გამგეობამ მოახდინა საქონლის აღწერა; მოწვეულ იქმნა ამ დროს სიღ. მაზ. კოოპ. კავშირის ინსტრუქტორი ბერძენიშვილიც. ანგარიშმა აღმოაჩინა ნოქრის ხელში საქონლის დანაკლისი, რის შემდეგ გამგეობამ მაშინვე საქონელი ახალ ნოქარს ჩააბარა და ძველს კი ერთი კვირის განმავლობაში გადა-

ახლეების დანიშვნისა. ამის შემდეგ თვითონ მეთაბელმა გასცეს, თუ როგორი მეთვალყურე ეყოლება წერილის ავტორი.

ამბავ გ. მოწლობილობით ჯუჯანის მოშხმ. სახოვ. გამგ. წევრი რ. კაკაბაძე.

## სია

**1900 წ. დაბადებულთა, რომლებიც არ იქნენ შეგზავნილი ამა წლის ჯარში გაწვევის პირთა სიაში ლოყუბენობის გამო.**

ბ.

199. ბოზარიოვი ივანე სტეფანეს ძე, 200. ბოდარენკო გრიგოლ კონსტანტის ძე, 201. ბაბაევი ნიკოლოზ სერგის ძე, 202. ბაბაევი კონსტანტინე იაკობის ძე, 203. ბოკერიანი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, 204. ბუხტუმოვი ივანე სიმონის ძე, 205. ბაჯარიანცი სარქის გევორქის ძე, 206. ბედროსიანცი ამბროსი გრიგოლის ძე, 207. ბუდლიანცი გეორგ ოვანესის ძე, 208. ბაბურიანცი ამბოთ სარქისის ძე, 209. ბაღდასარიანცი ერვან გევორქის ძე, 210. ბალტაზაროვი ივანე მიხაილის ძე, 211. ბარტაკიანი ოდისეი კარაპეტის ძე, 212. ბოზაროვი ალექსანდრე ივანეს ძე, 213. ბეზურტაშვილი ალექსანდრე ზურის ძე, 214. ბადინი მაკარ პეტრეს ძე, 215. ბადასარიანცი გრიგოლ ალექსანდრეს ძე, 216. ბორზენკო გიორგი გრიგოლის ძე, 217. ბასლოშვილი ივანე რომის ძე, 218. ბაგრატიანცი გევორქ სარქისის ძე, 219. ბაბაკიშვილი გევორქ ნასყიდის ძე, 220. ბეგთრიანცი იაკობის ძე, 221. ბელცი მიხეილ კარლის ძე, 222. ბროჟანი ალექსი გიორგის ძე, 223. ბულიჩევი იოსებ სტეფანეს ძე, 224. ბატუშვილი იოსებ ისაკის ძე, 225. ბადიძე ნიკოლოზ სიმონის ძე, 226. ბერეზუცკი ალექსანდრე მორისის ძე, 227. ბურვური სერგო ვასილის ძე, 228. ბანდურკო სიმონ ალექსანდრეს ძე, 229. ბერიანი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე, 230. ბელიაევი ბორის ვლადიმერის ძე, 231. ბარსეგოვი იაკობ იაკობის ძე, 232. ბენდელეხოვი პეტრე კოზმის ძე, 233. ბადოზოვი ალექსი ვასილის ძე, 234. ბოლოტკოვი ნიკოლოზ ივანეს ძე, 235. ბოსკანოვი ბორის (ზოლა კლავდია დიმიტრის ასულის), 236. ბარაკოვსკი ევგენი გრიგოლის ძე, 237. ბაგრატოვი ლევანი ივანეს ძე, 238. ბადიაძე ქრისტეფორე დიმიტრის ძე, 239. ბასკაკი ნიკოლოზ იანის ძე, 240. ბონდარენკო ივანე მიხეილის ძე, 241. ბუგაევი მიხეილ ალექსის ძე, 242. ბერნდი ვლადიმერ გუსტავის ძე, 243. ბიტნერი ალბერტ-გუსტავ-ადოლფ სამონ ბეტნერის ძე, 244. ბლიუმი ოტო-გენრიხ ადოლფ ბლიუმის ძე, 245. ბაზიკინიაანცი არტაშეს ავეტიკას ძე, 246. ბაბაიანცი არამ აგაბეგას ძე, 247. ბაგრამიანცი გრიგოლ გრიგოლის ძე, 248. ბადიანცი ნიკო-გაიოს აგალიას ძე, 249. ბუზიაშვილი ვასილ ალექსის ძე, 250. ბალუმიანცი გარეგინ ალექსანდრეს ძე, 251. ბელიაევი ივანე ეფრემის ძე, 252. ბორკინი პეტრე მოსეს ძე, 253. ბელვიპასოვი ნიკოლოზ ვასილის ძე, 254. ბურგინი ნიკოლოზ ანდრიას ძე, 255. ბეზპლემენიკოვი ნიკოლოზ ოსეპის ძე, 256. ბოლსკოვიალექსი ნიკოლოზის ძე, 257. ბარსუკოვი ალექსანდრე ამელოს ძე, 258. ბუცელკო ნიკოლოზ ნიკიტას ძე, 259. ბუდოიანიძე ლეონიდ გრიგოლის ძე, 260. ბორისოვი ალექსანდრე გიორგის ძე, 261. ბერამოვი სერგო ალექსანდრეს ძე, 262. ბახშეშიანცი ხორენ ხაჩატურას ძე, 263. ბაყალ-აკოფიანცი რუბენ არუთინას ძე, 264. ბოსტანჯიანცი ოვანეს ვარშაკას ძე, 265. ბერეეცკი გიორგი ნიკოლოზის ძე, 266. ბარონიკოვი დავით ვოლფის ძე, 267. ბაგინიანცი ოვანეს სარქისას ძე, 268. ბუღდანიანცი მიხეილ ბარსეღას ძე, 269. ბურდეხიანცი ტაშიკა გევორქის ძე, 270. ბადალიანცი ოვსეფ ზაქარის ძე, 271. ბაქრაძე ლავრენტი სპირიდონის ძე, 272. ბედინ მარკ პეტრეს ძე, 273. ბედიევი ვლადიმერ ალექსის ძე, 274. ბეროიანცი სარქის ოღანესას ძე, 275. ბიკოვი მიხეილ ივანეს ძე, 276. ბაღდასარიანცი ბაღდასარ გევორქის ძე, 277. ბელიაევი მიხეილ პეტრეს ძე, 278. ბიკოვჩენკო ანდრია იაკობის ძე, 279. ბერძენოვი კონსტანტინე პავლეს ძე, 280. ბერიძე შალვა მიხეილის ძე, 281. ბარაბიძე მიხეილ ალექსანდრეს ძე, 282. ბაზანდარაშვილი გევორქ გევორქას ძე, 283. ბაიბუხოვი სპირიდონ მიხეილის ძე, 284. ბონდარენკო ივანე მიხეილის ძე, 285. ბედკოვი მიხეილ სიმონის ძე, 286. ბაბიროვი-ბაბიანცი ივანე გიორგის ძე, 287. ბაბანასიანცი სარქის სტეფანეს ძე, 288. ბადრიძე მიხეილ გიორგის ძე.

## განცხადებანი

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი კეზარ სიმონის ძე ბატოშვილის სახელზე, შედგენილი ტფ. ნოტარიუსის ქართველიშვილის მიერ 1 სექტემბერს 1920 წ. № 4293 და დამტკიცებული სოხუმის უფ. ნოტარიუსის მიერ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3353 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ტოტოიანცის ქუჩ. № 13 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის სილ. კვაჭაძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3354 3—2

საოქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის ქარხნის პატრონს გიორგი დავითის ძე ნარიაშვილს დაუკარგავს ღვინის შეძენის ნებართვა მიცემული საოქციზო სამმართველოს მიერ 1920 წლისათვის 17 თებერვალს 1920 წ. № 820. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3336 3—3

დაიკარგა პასპორტი ისააკ შობედის ძე ალალაშვილის სახელზე, მიღებული ს. ქარელის კომისრისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3365 3—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ნიკოლოზ ივანეს ძე საველიევმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი, ანასტასია დანიელის ასული საველიევისა, რომელზედაც მან ჯვარი დაიწერა 1908 წ. უკვალოდ დაიკარგა 1915 წლიდან, რის გამო აღნიშნული ნიკოლოზ ივანეს ძე საველიევი თხოულობს მისგან განქორწინებას, ყველა ვინც იცის ანასტასია დანიელას ასულის საველიევის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის შესახებ, დღიდან ამ განცხადების დაბეჭვდისა ორი თვის განმავლობაში. 3368 3—2

ტფილისის ეპარქიის სამიტროპოლიტო სასამართლოში ალექსანდრე ილიას ძე ლომინაძემ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ზინაიდა ნიკოლოზ ნიკოლსკის ასულის ლომინაძისა, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1912 წ., უკვალოდ დაიკარგა 1916 წ., ვინც იცის ზინაიდა ნიკოლოზის ასულის ლომინაძის მისამართი, საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით ვალდებულია სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 3343 3—2

დაიკარგა პასპორტი № 650 ვერა თედორეს ასულის ვერეშჩაკის სახელზე, მიღებული უკრაინის გენერალურ საკონსულოდან ტფილისში და ორი კვიტანცია ტფ. პოლიტეხნიკუმიდან მიღებული. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3375 3—2

დაიკარგა მორიგ ჯარში გაწვევის მოწმობა ნიკოლოზ დიმიტრის ძე ჩხიკვაძის სახელზე, მიღებული 2 უბნ. კომისარიატიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3371 3—2

დაიკარგა პასპორტი № 927 ელისაბედ ნიკოლოზის ასული სააკოვის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტერისაგან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3372 3—2

დაიკარგა პასპორტი № 8083 ოლღა ვლადიმერის ძე ბალოევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 3367 3—2

დაიკარგა სამხედრო სამსახურის წიგნაკი № 8 გაბრიელ იასონის ძე იმნაძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3369 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრის მოხდის ვადის ერთი წლით გადადების მოწმობა დავით სილონის ძეჯოხაძის სახლზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3370 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი ბებუთოვის ქ. № 40 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ვართანოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3329 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ელენე დავითის ასულის ჟორდანიი სახელზე დამტკიცებული ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1893 წ. რეესტრით № 70 გაუქმებულად ჩაითვალოს. 3335 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით № 707 მილიციონერი ნესტორ ფილიპეს ძე მიქელაძის სახელზე, მიღებული ტფ მილიციის უფრ. სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3326 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი სარვანის ქ. № 1 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის აბულაძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3328 3—3

დაიკარგა ჯარში გასაწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 3069 ლეონ გიორგის ძე დანელიას სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3321 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი პოლიციის ქუჩ. № 9 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის შტენგელს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3322 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი გედეონ გერმანის ძე რუხაძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3323 3—3

დაიკარგა ორი თვით შევბულებაში გაშვების მოწმობა გიორგი ვასილის ძე ლომთაძის სახელზე, მიღებული მეათე ათასეულიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3325 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მაკრინიდა გალუსტას ასული ტერ-მინასიანცის სახელზე, მიღებული ბათომის საოლქო მილიციიდან. 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3316 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 576 ელენე ეგნატეს ასული ქაბას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3318 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი მიღებული სამხედრო უფროსისაგან ალა კოშკელაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3319 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი მოსეს ეკზარის ძე დანიელოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3340 3—2

დაიკარგა პასპორტი ლიუდვიგ მარტინის ძე მარგულეცის სახელზე მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3345 3—2

დაიკარგა პასპორტი მანიაკ არტემის ასული სააკოვის სახელზე, მიღებული ქ. სიღნაღიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3346 3—2

დაიკარგა ტრამვაის ბილეთი სურათით № 632 იულია დარახველიძის ასულის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3347 3—2

დაიკარგა პასპორტი № 1272 მაქსიმილიანე ეგნატეს ძე რეშბერგის სახელზე, მიღებული ქ. კიევში. 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3349 3—2

დაიკარგა მატრიკული, მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მარიამ იოსების ასულის ბოლანჩივაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—3 (უფ.)

დაიკარგა მოწმობა მიცემული ტფილისის სამხედრო უფროსისგან 6 ოქტომბერს 1920 წელს № 7049 ლეიტენანტ ძიძიკაშვილის სათადარიგო ჯარში გადარიცხვის შესახებ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3350 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ლევ ისაის ძე ლიხტენშტეინის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3337 3—2

დაიკარგა ვადა გასული პირადობის მოწმობა ალექსი თედორეს ძე ჯიოშვილის სახელზე, მიღებული ცხინვალის კომისრისაგან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3339 3—2

მთავრობის სტამბის გამგე აცხადებს რომ, დაკარგულია ანგარიში № 506, ამოწერილი ფინანსთა სამინისტროზე 12180 მანეთის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 963 3—1

დაიკარგა პასპორტი აიკანუშ როშის ასული მურადიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3376 3—1

დაიკარგა მოწმობა № 180 იასონ ივანეს ძე ჯანდიერის სახელზე, მიღებული სამხედრო აღნუსხვის განყოფილებიდან 19120 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3377 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ელისაბედის ქუჩ. № 166 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ელისაბედ ვლასოვისას. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2378 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 163, მიღებული შრომის კომისარიატიდან, სამხედრო აღრიცხვის მოწმობა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და შორაპნის მაზრის ერობიდან მიღებული მოწმობა — ვლადიმერ სტეფანესძე გველესიანის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3381 1—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 115, პასპორტი № 9892 და პარიკმახერთა კავშირის წიგნაკი № 22 იოსებ თადეოსას ძე ავეტისიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3382 3—1

დაიკარგა სამსახურის წიგნაკი, მიღებული სამხედრო აღრ. ნაწილის უფროსიდან, სარქის კარაპეტისძე ვართანოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3384 3—1

დაიკარგა პასპორტი და მეტრიკა გაცემული ხარაგოულის თემის გამგეობისაგან მოსე მურძაყანის ძე დეკანოიძის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 3390 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგარიდან თავისუფლების მოწმობა არტოშა ივანეს ძე მარტიროსოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, პასპორტი გაუქმებულად ჩაითვალოს. 3386 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი კახეთის ქ. № 47 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის გეურქ. გეურქოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3396 3—1

დაიკარგა პასპორტი № 48 პეხოს მოსეს ძე კრონის სახელზე, მიღებული ტფ. სამაზრო სამმართველოდან 191 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად ნიკიფორე ლუკას ძე კუპატაშვილის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს სამხედრო სამსახურის წიგნაკი და პასპორტი მიცემული ამავე სამმართველოდან სთხოვს მნახველებს აღნიშნულ საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 3388 1—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად არქიფო პავლეს ძე წიქორიძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი ერთი წლის ვადით, მიცემული ამავე სამმართველოდან და სალდათობის წიგნაკი, სთხოვს მნახველებს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლათ კუთვნილებისამებრ. 3399 1—1

სექტემბრის 25-ს დაიკარგა ახალციხიდან 15 წლის გიმნაზიელი არშალუის ვარდანას ძე სააკიანი. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ სთხოვენ აცნობონ ქ. ტფილისში ანტონოვის ქუჩა № 20 ტერ-გრიგორიანს. ან ქ. ახალციხეში ალექსანდრეს ქუჩა ტერ-გრიგორიანს. 3379 3—1

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო, თანახმად ალექსანდრე ბეგლარის ძე დადიანის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს უვადო პასპორტი, მიცემული ამავე სამმართველოდან 17 თებერვლიდან 1920 წ. № 222, სთხოვს მნახველს აღნიშნული პასპორტი წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 3399 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი.